



სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი
გამოდის 1957 წლიდან
№ 4-5 (352-353) აპრილი-მაისი, 2022 წელი

104

წელი

საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

გაზეთით უერთდეთ ჩვენს გაზეთს —

საქართველოს დემოკრატიულობის გზას!

გაფორმდა უნივერსიტეტის სამედიცინო უნივერსიტეტის



18-20 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესტუმრნენ.

სომხეთის დელეგაციას ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი არმენ მურადიანი ხელმძღვანელობდა.

შეხვედრაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ერევნის

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა.

სტუმრები თსსუ-ში სასწავლო პროცესის მართვას, ასევე, კლინიკურ საქმიანობას გაეცნენ.

ვიზიტის ფარგლებში, ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკასა და კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

აღსანიშნავია, რომ სტუმრების დიდი მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის ფუნქციონირებაში.

ლოცვისა და პატივსაცემი ბიუსი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი სოფიო ბახტაძე, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ბრიუსელში (ბელგია).

თავის ტვინის ევროპული საბჭო წარმოადგენს ბრიუსელში დაფუძნებულ ორგანიზაციას, რომლის მთავარი მისიაა განამტკიცოს სამედიცინო საზოგადოებებთან, პაციენტთა ორგანიზაციებთან და პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა.

იუნაუნო-სამედიცინო კონგრესი

თბილისში, ასთმის მსოფლიო დღისა და ალერგიის მსოფლიო კვირეულის ფარგლებში, 4-7 მაისს, იმუნოლოგთა საერთაშორისო კონგრესი გაიმართა.

ლონისძიების ორგანიზატორები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაცია (საკია).

კონგრესზე განიხილეს ალერგოლოგია და იმუნოლოგიაში ფუნდამენტური კვლევის უახლესი მიღწევები, ასევე, იმუნოპათოლოგიური დაავადების კლინიკურ მართვებში უახლესი ნაშრომები დაგროვილი გამოცდილება.

4 მაისს, სკოლა-სიმპოზიუმი „მიკრობიომი, ვირომიომი და ქრონიკული დაავადებები“ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა.

კონგრესის თანათარგმანზე გახლდათ თსსუ-ის იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, იმუნოლოგთა ასოციაციების საერთაშორისო გაერთიანების (IUIS) აღ-



ხარისხი, რომელთაც აღნიშნა თბილისის ტვინის სხვადასხვა სახის დაავადებები.

პროფესორი სოფიო ბახტაძე აღნიშნულ ორგანიზაციაში მუშაობს ევროპის პედაგოგიული ნეგროლოგიური საზოგადოების წარმომადგენლის სტატუსით და გახლავთ მისი სამუშაო ჯგუფის წევრი.

მასწავლებელი კომპიუტერული მედიცინის თქმით, „კონგრესი უნიკალური შესაძლებლობაა ახალგაზრდა ქართველი ექიმების უცხოელ მეცნიერებთან უშუალო კომუნიკაციისთვის“.

5 მაისს, კონგრესის მიმდინარეობისას, საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა რევაზ სეფიაშვილმა, ასოციაციის დაარსებიდან 25 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, საპატიო სიგელით დააჯილდოვა;

პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ აღნიშნა, რომ ტრადიციული კონგრესი, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტის თანაორგანიზებით იმართება, საქართველოში მაღალი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის საუკეთესო შესაძლებლობაა.

თსსუ-ის მუდმივი პარტნიორობითა და ხელშეწყობით, საქართველოს დედაქალაქში აშშ-ის, ისრაელის, გაერთიანებული სამეფოს, ესპანეთის, იტალიის საერთაშორისოდ აღიარებულ მეცნიერებს უმასპინძლა.

ახალი სტუდენტური პროექტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის - „სტუდენტების ხმის“ და თსსუ-ის ქართული ენის ცენტრის თანამშრომლობით, ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი - „ლიტმედი-2022“.

კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრები შეფასდა ქართული ენის ცენტრის მიერ შექმნილი ჟიური, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქართული ენის ცენტრის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დარეჯან კუხიანიძე.

ჟიურის წევრების აღფრთოვანება გამოიწვია საკონკურსო ნამუშევრების დახვეწილობამ და ორიგინალურობამ. ადგილი არ აღმოჩნდა მონაწილეთა გამოჩენა, რადგანაც თითოეული ნაწარმოები თავისებურად ლამაზი და განსაკუთრებული გამოდგა.

სწორედ ამიტომ, ჟიურის გადაწყვეტილებით, კონკურსის სამი ნომინაცია დაემატა.

პირველი ადგილი ელენე დემეტრაშვილს ხვდა, ნაწარმოებისთვის - „შემინებული რწმენა“; მეორე ადგილზე მარია ბესელიას - „რეანიმაციაში ნამუშევარი სტუდენტის დაკვირვება“ გავიდა, მესამე ადგილზე კი ირინე თვარაძის ნაწარმოები - „ზაფხულის პაპანაქება სივცხესავით მწველი თმა“ აღმოჩნდა.

ნომინაციაში - „კათედრის რჩეული“ ნინო დოლორე გახდა, „პოეზიის რაინდობა“ სანდრო აბრალავას მიეკუთვნა, „პოეზიის კეთილი ფერი“ კი მარია ხელაშვილი წარმოგვიდგა.

სასურველია, რომ მსგავსი ლიტერატურული კონკურსი ტრადიციად იქცეს, რაც ხელს შეუწყობს ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოვებულ სტუდენტთა წარმოჩენას ფართო საზოგადოების წინაშე.

„პალიტნი მიჩაჰოტ“



ნეონატოლოგთა ასოციაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ლონისძიებაზე ახალი საინფორმაციო ბროშურა წარადგინეს, რომლის მიზანია, კიდევ ერთხელ შეახსენოს საზოგადოებას ქუძუთი კვების მნიშვნელობა.

შეხვედრაზე მოეწყო 0-3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის რეკომენდებული ნივთების გაედიტორის დაცვის ფონდის, პედიატრთა და

სტრატეგია - „ოპიკატორი სტრატეგია (OSCE) - ჩატარების და შეფასების მეთოდოლოგია“

4-8 აპრილს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტში, არადისტანციურ რეჟიმში, ჩატარდა ტრენინგი - „ოპიკატორი სტრატეგიული კლინიკური გამოცდა (OSCE) - ჩატარების და შეფასების მეთოდოლოგია“.



ტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი - „მილენიუმი“.

მონაწილეთა უმრავლესობამ გამოთქვა სურვილი, OSCE დანერგვის მათ უმაღლეს სასწავლებლებშიც. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

AMEE-ESMEA-ის სტრატეგია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გახსნილ AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრში, AMEE-ის პრეზიდენტმა, პროფესორმა ტრევიორ გიბსმა, ჩატარდა ESMEA-ის კურსი, კერძოდ, დამწყებთათვის, აპრილის თვეში მეხუთედ ჩატარდა საბაზისო კურსი - „ძირითადი უნარები სამედიცინო განათლებაში“.

მათ შორის, - თსსუ-ის 12 და და სხვადასხვა უნივერსიტეტის 9 წარმომადგენელი.

მაისში ჩატარდა ESMEA-ის კურსი - „შეფასების აუცილებელი უნარები სამედიცინო განათლებაში“, ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 16-მა მსმენელმა საქართველოსა და აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტებიდან, რომელთა შორის 5 თსსუ-ის წარმომადგენელი გახლდათ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იოვანე ქუთათელაძის ფაჩაქოვიძის ინსტიტუტი 90 წლისაა

1932 წლის 5 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წიაღში, ფარმაკოქიმიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა, რომელსაც სათავეში პროფესორი ი. ქუთათელაძე ჩაუდგა.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს დადგენილებით, იოვანე ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამედიცინო-კვლევითი ერთეული გახდა.

თსსუ-ის იოვანე ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, უკვე ცხრა ათეული წელია ქვეყნის და რეგიონის ლიდერია ბუნებრივი რესურსების კვლევის თვალსაზრისით, რასაც მონაწილეს არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო აღიარება განხორციელებული ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებით შემუშავებული სხვადასხვა დანიშნულების ორიგინალური პრეპარატი, კოსმეტიკური პროდუქტი, ქიმიური რეაქტივი, მცენარის ზრდა-განვითარების სტიმულატორი, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ.

მეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრი, სადაც სტაჟირება გაიარა ინსტიტუტის ათეული ბიოთანამშრომელმა, დოქტორანტმა და მაგისტრმა; შესრულდა ერთობლივი სამეცნიერო პროექტები, სადისერტაციო ნაშრომები, რაც აისახა ერთობლივ გამოქვეყნებულ შრომებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

ინსტიტუტში წარმატებით მიმდინარეობს დოქტორანტების, მაგისტრების და ბაკალავრების პროფესიული პრაქტიკული სწავლება და სტაჟირება. ახალგაზრდა მეცნიერებისათვის შეიქმნა სასწავლო და სამეცნიერო სივრცეები.

თსსუ-ის ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი - სამეცნიერო პოტენციალით, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, მუდმივად განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, უმაღლესი კატეგორიის სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებაა. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს ფუნდამენტური, გამოყენებითი და დარგის განვითარებაზე ორიენტირებული კვლევები, მომზადდეს შესაბამისი კომპეტენციის და კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მომავალში მოსახლეობის უზრუნველყოფას - ეფექტიანი, უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს თსსუ-ის იოვანე ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს საიუბილეო თარიღს.

დასაქმების ფორუმი თსსუ-ში

29 აპრილს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა დასაქმების ფორუმი. რომელშიც მონაწილეობდა 50-მდე კომპანია და 500-ზე მეტი სტუდენტი და კურსდამთავრებული.

დასაქმების მსურველმა პირებმა დამსაქმებელი კომპანიების მხრიდან მიიღეს ინფორმაცია სხვადასხვა ვაკანსიისა და სტაჟირების პროგრამების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დასაქმების ფორუმი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება და მისი მასშტაბები მზარდია.

ლია კარის დღე თბილისის სახელმწიფო საბავშვო საბავშვო უნივერსიტეტში

2022 წლის 28 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ღია კარის დღე ჩატარდა. უნივერსიტეტს ეწვევიან აბიტურიენტები და მათი მშობლები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის მსურველები. სტუმრებისთვის საგანგებოდ მოწყობილ სივრცეში, მესამე სასწავლო კორპუსის სამ სართულზე, განლაგებული იყო თსსუ-ის ფაკულტეტების, საუნივერსიტეტო კლინიკების (თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის, თსსუ-ის გვირაპის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის, შსპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის; თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტრუქტურული კლინიკის, თსსუ-ის N 1 და თსსუ-ის N 2 სტრუქტურული კლინიკების) და თსსუ-ის სამედიცინო ინსტიტუტების: თსსუ-ის იოვანე მამარიაშვილის სახელობის ინსტიტუტის და თსსუ-ის ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები კუთხეები.

დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება, როგორც საინფორმაციო ბუკლეტებისა და „სამედიცინო გაზეთის“ მეშვეობით, ისე კითხვა-პასუხის რეჟიმშიც. ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული იყო ინტერაქტიული შეხვედრებით აქტივობები მედიცინის, სტრუქტურული ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების, საექთნო და სამედიცინო სამსახურის პროგრამების მიმართულებით, რამაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია როგორც აბიტურიენტებში, ისე სხვა სტუმრებში.

ღია კარის დღეზე მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, მოესმინათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭორიასთვის. რექტორმა ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა აუდიტორიის თსსუ-ში სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე, ტრადიციებით ნასაზრდოებ და, ამავდროულად, მოდერნიზებულ სამედიცინო განათლებაზე, რომლის მაღალი სტანდარტებიც არაერთხელ აღინიშნა ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტების მიერ. მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემით მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი და საკუთარი მაღალტექნოლოგიური კლინიკების ქსელი (3 მრავალპროფილიანი და 3 სტრუქტურული კლინიკა) - ეს ის ბაზისია,

რომელიც თსსუ-ში სწავლის მსურველებს შეუძლიათ წარმატებული კარიერული მომავლის საძირკვლად აქციონ. მათთვის თავდაჯერებულობის შექმნისა და პროფესიული ზრდის კიდევ ერთი საშუალება მოკლედ გარმეგვიანებინო საერთაშორისო მობილობის პროგრამებია (ERASMUS+, HORIZON, MEVLANA ...) განათლების დიპლომად მდიდარი, დიპლომის შემდგომ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე; თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭორიამ, აღნიშნა ისიც, რომ თსსუ-ის წარმატებული აკადემიური პროცესი ასახულია საერთაშორისო სტუდენტების რიცხვში, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. დღესდღეობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მოტივირებული და წარმატებული ახალგაზრდების არჩევანია მსოფლიოს 81 ქვეყნიდან.



აბიტურიენტები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

მარიამ ცინცაძე: ყოველთვის საბუნებისმეტყველო საგნებით ვიყავი გატაცებული და სკოლაში სწავლის ბოლო წელს გავაკეთე არჩევანი — მიინდა ექიმი გახდეთ და ვფიქრობ, რომ სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა დამეხმარება მომავალში მაღალპროფესიონალად ჩამოყალიბებაში. მოუთმენლად ველოდი დღევანდელ დღეს, რომელმაც ჩემი მოლოდინი გაამართლა და კიდევ უფრო დამარწმუნა გადანიშნულების სისწორეში...



გიორგი ბრეგვაძე - ბავშვობიდან ყველაზე მეტად ექიმობა მაინტერესებს, იმიტომ, რომ ეს ისეთი საქმეა, სადა შედეგი ხელს... ვფიქრობ, რომ ყველაზე კარგი განათლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიიღო, რადგან ამ უნივერსიტეტში მაღალი დონის სამედიცინო განათლების სისტემაა დანერგილი და დაავადებების სწავლის გაგრძელებას დაუწყებელი უნივერსიტეტის საერთაშორისო ალიანსების მექანიზმებით გამოგვადგება...

პაპუნა კაჭკაჭიშვილი - დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა მთლიანად მომიკმაყოფილებს, რადგან უნივერსიტეტში ჩემი შემდგომი კარიერული წინსვლისთვის, თსსუ-ის მონაწილეობით, მააქვს ხელისშეწყობა და გააღრმავა ჩემი ცოდნის დონე. აქ სწავლისას სტუდენტური ცხოვრების დადებითი განხორციელება გობრობის ძალა...

თამარ ოქიშვილი - ძალიან საინტერესო დღეა; შესანიშნავ მასპინძლობას გვინვენ... მოვედი, რათა გავეცნო ჩემს მომავალ უმაღლეს სასწავლებლებს; მედიცინის ფაკულტეტზე ვაპირებ სწავლის გაგრძელებას და ვფიქრობ, დღევანდელი დღე კიდევ უფრო გაამყარებს ჩემს წარმოდგენას და არჩევანს...

მერი კვებუა - ჩემთვის მნიშვნელოვანი დღეა, ბევრ საინტერესო აქტივობას გვპირდებიან. მიინდა, აქ ჩავაბარო და კარგად ვიქნები გაზრდილი... ვფიქრობ, არჩევანში არ შევამცდარვარ...

ნინო გველეხიანი - ძალიან დიდი იმედი მაქვს, სამედიცინო უნივერსიტეტი გაამართლებს ჩემს წარმოდგენებს მასზე და ყველაფერი კარგად იქნება, გავხდები მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი და საუკეთესო ხარისხის განათლებას მივიღებ.

მარიამ ჯილაური - ექიმობა ჩემი დიდი სურვილია; ამ ოცნებებს განხორციელებისთვის აუცილებელია სრულყოფილი სამედიცინო განათლების მიღება, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლა კი, დარწმუნებით შემიძლია უზრუნველყოს ჩემთვის საჭირო მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მედიცინის და სხვა მეცნიერული მიმართულებების ცოდნის მიწოდება და დღევანდელი დღე, ტრადიციებისა და დღევანდელი ტექნოლოგიის ინტეგრაციის საფუძველზე, საუკეთესო კარიერული და მკაცრი პროფესიული მომავლისთვის დამეხმარება, სადაც სტუდენტური ცხოვრების ულამაზეს წლებს გავატარებ...

ნუცა ილიურიძე: დღევანდელი დღე ჩემთვის მართლაც დასამახსოვრებელი, საინტერესო და მრავალფეროვანი იყო; თითქოს გარემოცვა დაგვანახებდა და ვინც ვინაა — ძალიან მიინდა ვიქნებოდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წევრად; საუკეთესო და პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტი!..

ანა ბერიანიძე: ადამიანების დახმარების სურვილმა ჩემი პროფესიული არჩევანიც განაპირობა. გადანიშნული მაქვს ექიმი ტრადიციული სამედიცინო უნივერსიტეტში ყველა პირობა შექმნილი ხარისხიანი ცოდნის მისაღებად — საერთაშორისო ურთიერთობები, გაცვლითი პროგრამები, სტუდენტებს უცხოეთში თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას მისცემს, რაც მაღალკვალიფიციურ ექიმად ჩამოყალიბების წინაპირობაა.


მედიცინის ღვაწლში

16 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ ორგანიზებით, ჩატარდა მედიცინის დღე. მთელი დღე დატვირთული იყო საინტერესო და შემეცნებითი აქტივობებით:

❖ თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურმა დირექტორმა, ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ლევან რატიანმა ისაუბრა ექიმის პროფე-

სიაზე, მის სირთულეებსა და გამოწვევებზე და რჩევები გაუზიარა მომავალ კოლეგებს.

❖ წარმოდგენილი იყო მულაჟი, რომელზეც სტუდენტებს შეეძლოთ ესწავლათ პირველადი დახმარების ჩატარება. გაიმართა სახალისო-შემეცნებითი ხასიათის ვიქტორინა, გამარჯვებულ სტუდენტებს საჩუქრები გადაეცათ.



❖ პირველ სასწავლო კორპუსში მიმდინარეობდა სკრინინგი აივინფექციაზე, რისთვის მადლობას ვუხდით AHF GEORGIA-ს.

სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა 2015 წლიდან მოქმედებს, ამ პერიოდის განმავლობაში სწავლა დაუფინანსდა 800-მდე სტუდენტს. ნელსაც, რეგისტრაცია 8-დან 18 აპრილის ჩათვლით მიმდინარეობდა, მასში 115-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, 3 მაისს კი პროგრამა დასრულდა. დაფინანსება მოიპოვა 71 სტუ-

დენტმა, რომელიც პროგრამის შესაბამის სხვადასხვა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2019 წელს აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი 4-ჯერ გაიზარდა და შესაბამისად მეტი სტუდენტი სარგებლობს სწავლის სრული დაფინანსებით, რაც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაბამო მიღწევაა.

საინტერესო ღვაწლი



16 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ და Left Anterior

Descending (LAD) ინიციატივით, ჩატარდა საინტერესო ლექცია კარდიოქირურგიაში, თემაზე: „სიცოცხლე ვარფარინის გარეშე“.

ლექციას უძღვებოდა თსუ-ის კლინიკის პროფესორი, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის სარეზიდენტო პროგრამის

დირექტორი კარდიოქირურგიაში, პროფესორი ზვიად ბახუტაშვილი. მან კარდიოქირურგიის – მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის შესახებ ისაუბრა. საინტერესო ლექცია სტუდენტების აქტიური ჩართულობით კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ასეთი შეხვედრები დარგის პროფესიონალებთან, სტუდენტების ცოდნის შექმნასა და შემდგომი პროფესიული არჩევანის სწორად წარმართვას ისახავს მიზნად.

დაუპირფარაო ბავშვების ტურნირი



აქტიური სტუდენტური ცხოვრება, სწავლასთან ერთად, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, კულტურულ-სპორტული ღონისძიებებითა და დატვირთული ერთ-ერთი ასეთი გასვლითი ტურნირია, რომელიც სტუდენტებს ახალი ადამიანების გაცნობასა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ეხმარება. თითოეული ტური დაუპირფარაო, საინტერესო და დასამახსოვრებელი მომენტებით, ბედნიერი და ხალისიანი წუთებითაა აღსავსე და ყველაზე ძვირფასია ადამიანისთვის.

ღონისძიების თანმდევი იყო, სხვადასხვა თამაშობები ლამაზად გაფორმებული სივრცე, ახალგაზრდების სიხარულით სავსე ღიმილი თითოეულ ტურს დაუვინყარ ელფერს მატებდა.

საქართველოს ულამაზეს რეგიონებში გასვლით ტურებში მონაწილეობა თსუ-ის ყველა ფაკულტეტის 800-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო. „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ გუნდი კვლავაც გააგრძელებს ასეთი ღონისძიებების ორგანიზებას, რომელიც სტუდენტური ცხოვრების თანმდევი.

ღვაწები კარგ პოპერის ფორმატით

11 მაისს, თსუ-ის „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ ინიციატივით, ჩატარდა დებატები კარგ პოპერის ფორმატით.

საფინანსო თემა გახლდათ: „სარეაბილიტაციო მკურნალობა დაფინანსებული უნდა იყოს საყოველთაო დაზღვევით“.

აზრთა და იდეათა გაცვლა სტუდენტთა შორის, რომლებსაც განსხვავებ-



ბული მოსაზრებები გააჩინათ მნიშვნელოვანი და გვეხმარება

ამა თუ იმ საკითხის ჩაღრმავებასა და შესაბამისი დასკვნების გამოტანაში. დებატები საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. დაძაბული პაექრობის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები: პირველმა გუნდმა მოიპოვა 4.7 ქულა, ხოლო მეორე ადგილზე გასულმა გუნდმა — 3.7 ქულა. გამარჯვებული გუნდის წევრები არიან: დიმიტრი პირტახია, ვახო კახიანი, ვაჩე ბინიაშვილი.

ექიმების საერთაშორისო ღვაწლი



12 მაისი ექთნების საერთაშორისო დღედ არის აღიარებული. პირველად ეს დღე 1974 წელს აღინიშნა და მას შემდეგ, ყოველწლიურად ზეიმობენ, რომე-

ლიც ერთგვარი მადლიერების გამოხატულება სამედიცინო სფეროში მნიშვნელოვანი და შეუცვლელი პროფესიის მქონე ადამიანების მიმართ. საქეთნო საქმე სხვა მრავალ ვალდებულებასთან ერთად, გულისხმიერ დამოკიდებულებას, ყურადღებას, ლობიერებას, ყველა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტთა კვალიფიციურ მოვლას და საჭირო

სამკურნალო ღონისძიებათა შესრულებას მოითხოვს, და კიდევ — უპირველეს თვისებას - ადამიანის სიყვარულს.

თსუ-ის „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ წევრები თსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედაგოგიულ აკადემიურ კლინიკას ეწვევნენ და პატარების ჯანმრთელობის სამსახურში ჩამდგარ ექთნებს პროფესიული დღე მიულოცეს.

მართლაც, განუსაზღვრელად დიდი მათი წვლილი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, ვულცავთ, ექთნებსა და ექთნის დამხმარებებს, პროფესიულ დღეს, და წარმატებებს ვუსურვებთ!

ჩვენი სახლი — ღვაწლი

ღვაწლი ჩვენი სახლია. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა მასზე ზრუნვა და მინიმალური ზიანის მიყენება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს განსაკუთრებულად გვაქვს გათავისებული, რომ კაცობრიობის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, პირველ რიგში, აუცილებელია დედაბუნების მოფრთხილება და გარემოს დასუფთავება. ადამიანის ვალია მოუფრთხილდეს დედამინას, რადგანაც



ადამიანის ჯანმრთელობა პირდაპირკავშირშია დედამინის „ჯანმრთელობასთან“.

22 აპრილი დედამინის საერთაშორისო დღეა, რომელიც საქართველოში პირველად, 1990 წელს აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით თსუ-ის „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ ინიციატივით, გივი ჟვანიას სახელობის პედაგოგიის აკადემიური კლინიკის შემოგარენის დასუფთავების აქცია გაიმართა, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტები.

სიხსნის გადასარჩენად

4 მაისს, თსუ-ის „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ ინიციატივით, ჩატარდა სიხსნის უანგარო დღიანობა. სიხსნის დონორი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი 18-დან 65 წლამდე, რომელიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

სიხსნის დონაციის აქცია დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო სტუდენტების მხრიდან, მონაწილეობის სურვილი, 100-მდე სტუდენტმა გამოთქვა. 50-მა სტუდენტმა



შეძლო სიხსნის ჩაბარება. ასეთ

ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა თითოეული ადამიანის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა, სიცოცხლისთვის ასე საჭირო და აუცილებელი.

თსუ-ის „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოება“ მადლობას უხდის „მ.პ.ს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკას“ ჩართულობისათვის.

გვიჩვენეთ მოსაზრება მედიცინის უკუკლასიკის მიმართ სტუდენტთა, ექსპერტებისა და პაციენტების მიერ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ნიჭიერი ახალგაზრდების სიმრავლით ყოველთვის გამოირჩეული იყო. კოვიდრეგულაციების მოხსნისთანავე სტუდენტური ცხოვრებაც გამოცოცხლდა და ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. ახალგაზრდები აქტიურობენ, ეძიებენ, აწყობენ საინტერესო შეხვედრებს... ახლახან ჩამოყალიბებული სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის — „სტუდენტების ხმის“ — მიერ მოკლე დროში განხორციელებული აქტივობები ამის ნათელი დადასტურებაა. გუნდში გამორჩეული ახალგაზრდები გაერთიანდნენ. ერთი მათგანია გიგი გორგაძე, მედიცინის ფაკულტეტის მე-6 სემესტრის სტუდენტი, რომელიც სწორედ ამ საინტერესო ღონისძიებებზე გვიამბობს.

სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის — „სტუდენტების ხმის“ — პრეზენტაცია

10 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის „სტუდენტების ხმის“ პრეზენტაცია. შეხვედრის მიზანი იყო აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებული სტუდენტების გაცნობა საზოგადოებისთვის და სამომავლო გეგმების გაზიარება. პრეზენტაციას ესწრებოდნენ როგორც ქართულ



ლენოვანი პროგრამის, ისე — საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტები. ღონისძიებაზე, ასევე, მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები. შეხვედრა გაიმართა თეატრალურ დარბაზში და მას 400-მდე სტუმარი დაესწრო. მადლობა დამსწრე საზოგადოებას გვერდში დგომის, მხარდაჭერისა და პოზიტიური შეფასებებისთვის.



საინფორმაციო შეხვედრა

„სტუდენტების ხმის“ მიერ ორგანიზებული საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში შედგა შეხვედრა, რომელიც სტუდენტებს ძალიან დაეხმარება მომავლის გონივრულად დაგეგმვასა და სწორ კარიერულ ნიშნულში. ღონისძიებაზე Erasmus+-ის (ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამა) და USMLE-ის (აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდა) შესახებ ისაუბრეს და გამოცდილება გაგიზიარეს თსსუ-ის კურსდამთავრებულმა, ედვარდ

ლიმონჯიანმა; თსსუ-ის მონაწილემ მასწავლებელმა (იმუნოლოგიის დეპარტამენტი) გიორგი ჭოლაძემ; თსსუ-ის მე-8 სემესტრის სტუდენტმა, ზურაბ ხუციშვილმა, რომელმაც USMLE-ის გამოცდაზე უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ დაესვათ შეკითხვები, რომელზეც ამომწურავად უპასუხეს ჩვენმა მონაწილემ სტუმრებმა. შეხვედრა შედგა ჰიბრიდულ რეჟიმში. მადლობას ვუხდით მენტორებს, მონაწილეებსა და ორგანიზატორებს.

ლექსია — „ბაზისური ეკგ და არითმიების ინტერპრეტაცია“

17 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მწვანე დარბაზში უმასპინძლა საგანმანათლებლო პროექტის ღონისძიებას/ლექციას თემაზე - „ბაზისური ეკგ და არითმიების ინტერპრეტაცია“. ლექციას უძღვებოდა „თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკის“ ექიმი-რეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის მონაწილე მასწავლებელი, ლადო კვაჭაძე. ლექციის ბოლოს სტუდენტებს



სამუალება ჰქონდათ დაესვათ კითხვები და დეტალურად გაეცნობოდნენ საკითხს. მადლობას ვუხდით ბატონ ლადოს ასეთი საინტერესო ლექციისთვის, ხოლო სტუდენტებს — დაინტერესებისთვის.

ბაზალეთი 2022

„სტუდენტების ხმის“ ორგანიზებით ჩატარდა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი „ბაზალეთი 2022“. გრანდიოზულ ღონისძიებას უმასპინძლა The Beach Bazaletti-ბაზალეთის სანაპირომ.



პროექტი დაიწყო საგანმანათლებლო ნაწილით, რომელიც მოიცავდა ორ ლექციას: ლექცია სასამართლო მედიცინაში ნაიკიტხა სასამართლო ექიმი და სასამართლო ანთროპოლოგმა მერი (მაკო) გონაშვილმა. სამოტივაციო ვებინარი ჩატარა ჟოჟმა ნინო ძონენიძემ. მონაწილე სტუმარი გახლდათ ანზორ (ალიკა) გოგიბერიძე - თერაპევტი, თსსუ-ის ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის დოქტორანტი.

ტრენინგებმა საკმაოდ ხალისიანად და სასიამოვნოდ ჩაიარა; სტუდენტებმა დასმულ შეკითხვებზე მიიღეს ამომწურავი პასუხები, გამოთქვეს მოსაზრებები და შესაძლებლობა მიეცათ წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები. მადლობა ღონისძიების ყველა მონაწილეს, რომელიც, ჩვენთან ერთად, ამ დღის ნაწილი გახდა და დაგვეხმარა ღამეში მოგონებების შექმნაში.

ჩა? სად? როდის?

13 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის „სტუდენტების ხმის“ და თსსუ-ის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის სტუდენტური სამედიცინო-კვლევითი კლუბის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა ყველასთვის საყვარელი ინტელექტუალური თამაში — „ჩა? სად? როდის?“, რომელიც ამ ფორმატში, მსგავსი

თემატიკის კითხვებით, არასდროს ჩატარებულა. საინტერესო და დაძაბული ასპარეზობის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი — „ანტერო“. გუნდის წევრები: თეკლე დოლიძე (კაპიტანი), არჩილ ბერიძე, ლუკა აწყვერელი, ლევან ფიფია, ნინო ორმოცაძე, ელენე მელიქიძე.



გიგი გორგაძე, მედიცინის ფაკულტეტის მე-6 სემესტრის სტუდენტი, რომელიც ამ ფორმატში, მსგავსი თემატიკის კითხვებით, არასდროს ჩატარებულა. საინტერესო და დაძაბული ასპარეზობის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი — „ანტერო“. გუნდის წევრები: თეკლე დოლიძე (კაპიტანი), არჩილ ბერიძე, ლუკა აწყვერელი, ლევან ფიფია, ნინო ორმოცაძე, ელენე მელიქიძე. გამარჯვებული გუნდის წევრებს გადაეცათ სერტიფიკატები, ნიგნები და ამ თამაშის მთავარი სიმბოლო — ზუ, მეორე ადგილზე გასული გუნდის წევრები კი დასაჩუქრდნენ მხატვრული ლიტერატურით. მადლობას ვუხდით თსსუ-ის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრს, მონაწილე გუნდებს, ორგანიზატორებსა და კითხვების ავტორებს: სანდრო მეტრეველსა და ლადი სამადაშვილს.

ლექსია თემაზე — „აუტიზმის გენეტიკური მიზეზები“

11 მაისს, ბიბლიოთეკის მწვანე დარბაზში, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა თინათინ ტყემალაძემ, ჩატარა ლექცია თემაზე — „აუტიზმის გენეტიკური მიზეზები“. ლექციის ბოლოს სტუდენტებს სამუალება ჰქონდათ მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ დაესვათ შეკითხვები და მიიღოთ ამომწურავი პასუხები. ქალბატონმა თინათინმა, აგრეთვე, ისაუბრა ერთ-ერთი იშვიათი გენეტიკური დაავადების კლინიკურ შემთხვევაზე.

„სტუდენტური ხმის“ და სტუდენტთა საქველმოქმედო ჯგუფის — „თსსუ ზრუნავს“ — ინიციატივით სტუდენტებმა გადანიშნეს დახმარებოდნენ იშვიათი გენეტიკური დაავადების (SC4MOL დეფიციტის) მქონე ორ პატარას, რომლებსაც შეუძინეს

მათთვის საჭირო პრეპარატის ერთი თვის დოზა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოში ამ დაავადების სულ შვიდი შემთხვევაა დაფიქსირებული, მათ შორის — ორი ბავშვი ქართველია, რომელთა მდგომარეობას მართავს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თინათინ ტყემალაძე.

სამედიცინო ქირურგიული პრაქტიკა

„სტუდენტების ხმის“ და თსსუ-ის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის სტუდენტური სამედიცინო-კვლევითი კლუბის „ენდევორის“ ორგანიზებით, უნივერსიტეტის ეზოში, სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ დასწრებოდნენ მასტერკლასს მულაჟეზე, გაცნობოდნენ ნაკერების დადების სპეციფიკას და ტექნიკას და თვითონვე ემუშავათ ამაზე. პროექტის ერთგვარი გაგრძელება იყო ღონისძიება, რომელიც, სტუდენტების დიდი ინტერესის გათვალისწინებით, 21 მაისს გაიმართა — სამედიცინო-კვლევითი კლუბის „ენდევორის“ თავმჯდომარემ, გიგი გორგაძემ, რეგისტრირებულ დაინტერესებულ სტუდენტებს ჩაუტარა თეორიული

და პრაქტიკული კურსი ლაბორატორიულ ცხოველებზე კვლევების წარმართვისა და ქირურგიული უნარ-ჩვევების შესახებ. 23 მაისს ღონისძიების დასკვნით ეტაპში მონაწილეობა მიიღო 20-მა სტუდენტმა, რომელთა შორისაც მოხდა თეორიული კურსის დროს ჩატარებული ტესტირების საფუძველზე. აღნიშნულ ეტაპზე სტუდენტებმა დამოუკიდებლად ჩატარეს ოპერაციები ვირთაგვებზე.



მადლობას ვუხდით კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტს და მის ხელმძღვანელს, პროფესორ ლიანა კიკალიშვილს განუული მხარდაჭერისთვის. ასევე, პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, ქეთევან ღამბაშიძეს, სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრს, ყველა მონაწილესა და ორგანიზატორს.

IBSU — სტუდენტური სოფალი

11 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) მიერ ჩატარებულ ღონისძიებაში — „სტურისტიკური სოფალი“. ჩვენმა სტუდენტებმა ჩატარეს პირველადი დახმარების მასტერკლასი; შედგა მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული სამკურნალწამლო საშუალებების პრეზენტაცია. მადლობას ვუხდით IBSU-ის

ტურიზმის კოორდინატორს, ქალბატონ ეკა დევაძეს, აფთიაქ „ნეოფარმს“ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების დეპარტამენტს პრეპარატებითა და მულაჟეებით უზრუნველყოფისთვის, ასევე, პროფესორ დალი ბერაშვილს — მხარდაჭერისთვის.



მუსიკალური პროექტი „მელომანი“



29 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა ყველასათვის საყვარელი, სახალისო მუსიკალური პროექტი — „მელომანი“, რომელშიც მონაწილეობდა 6 გუნდი, თითოეული შედგებოდა 2 მონაწილისგან. გამოვლინდნენ ფინალისტები, რომლებსაც, სასურველ ფილმსა და სენსზე დასასწრებად, გადაეცათ „კავეას“ კინოთეატრის ბილეთები.

გვიჩვენა მთავარი მადლობის ფაკულტეტის მე-6 სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტთა სამედიცინო-კვლევითი კლუბის „ენდევორის“ თავმჯდომარემ, გიგი გორგაძემ.

სახელების კინო

თბილისის სახელმწიფო სახელობის უნივერსიტეტის ბ. ჯვანია სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა მოწინავე ტექნოლოგიების იმპლემენტაციის კვანძი

საქართველოში პირველად, თსუ-ის გვირგვინის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტში, მწვევე აპენდიციტის მკურნალობის ახალი, ინოვაციური მეთოდი დაინერგა, რომელიც აპენდექტომიის ლაპაროსკოპიული ასისტირებით (ერთი პორტით), ანუ ტრადიციული დიდი განაკვეთის გარეშე გულისხმობს.

ამ მეთოდით, ბოლო პერიოდში, კლინიკაში წარმატებით ჩატარდა რამდენიმე აპენდექტომია უნიკალური ლაპაროსკოპიული, ე.წ. One Port მეთოდით, თსუ-ის ასოცირებული პროფესორის, ავთანდილ კუტუბიძის, ქირურგების — ნიკოლოზ ბუაძის და ნუკრი შალამბერიძის მიერ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ოპერაცია მხოლოდ ერთსანტიმეტრიანი განაკვეთით ტარდებოდა და ლაპაროსკოპიული ჩარევის დასრულების შემდეგ, ტიპის არეში ჭრილობას კანქვეშა კოსმეტიკური ნაკერი ედებოდა, რომლის შედეგად კანზე პოსტოპერაციული ნაწიბური არ რჩება.

კლინიკის ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტში რვა წელზე მეტია ხორციელდება მწვევე აპენდიციტისა და სხვა ქირურგიული პათოლოგიების მინიმალური ლაპაროსკოპიული მკურნალობა ტრადიციული მეთოდით.




ლაპაროსკოპიული და თორაკოსკოპიული ოპერაციის ტექნიკა, ღია წესით ოპერაციასთან შედარებით, იძლევა მუცლის და გულმკერდის ღრუს უკეთესი ვიზუალიზაციის საშუალებას და ოპერაციის შემდგომი ინტრააბდომინალური შეზღუდვებით დაავადებების რისკი მინიმალურია; ხდება ნაწლავთა პერიტალტიკის სწრაფი აღდგენა.

პაციენტს, ლაპაროსკოპიულად ჩატარებული ოპერაციის შემდგომ, ფაქტობრივად, არ აღენიშნება ტკივილი, რაც ღია წესით ოპერაციის დროს ქსოვილების ტრავმირების შედეგია.

ასეთი ტიპის ქირურგიული ჩარევის უპირატესობებია მინიმალური პოსტოპერაციული გართულებები და შესანიშნავი კოსმეტიკური შედეგი.

ახალი ანთიაღიბილი, გაფართოვებული სექტორის პეპარატი - Dualler-G-ს წარმართვა



ცესთან დაკავშირებით. ღონისძიებაზე პანელური დისკუსიისას მხარეებმა განიხილეს ბიზნესსექტორისა და აკადემიის სფეროს შორის არსებული გამოწვევები და განსხვავებული ხედვები საქართველოში ტექნოლოგიების გადაცემის პროცესთან მიმართებით. გაიმართა, ასევე, ტექნოლოგიების გადაცემის საბილოტე პროგრამის მონაწილე რამდენიმე პროექტის პრეზენტაცია, რომელთა შორისაა ფართო გამოყენების ანტიბიოტიკული მედიკამენტი.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ტექნოლოგიების გადაცემის საბილოტე პროგრამის ფარგლებში, ტექნოპარკში გაიმართა ღონისძიება - „ტექნოლოგიების გადაცემა საქართველოში“, რაც მიზნად ისახავდა პროექტის - „Experts.ai for Georgia“-ს ძირითადი მიღწევებისა და Expert.AI-ის პლატფორმის შედეგების განხილვას.

საქართველოს სამეცნიერო ცენტრებიდან პირველ ეტაპზე წარდგენილი იყო 100-ზე მეტი პროექტი, მათგან მეორე ეტაპზე გავიდა 75 პროექტი, ხოლო 3 ეტაპის შემდეგ შეირჩა 5 პროექტი, სამი ნამყვანი უნივერსიტეტიდან და, მათ შორის, ერთ-ერთი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან - ახალი ანტიბიოტიკული, გაფართოვებული სექტორის პრეპარატი Dualler-G; ავტორი თსუ-ის პროფესორი თამაზ ჭუმბურიძე, რომლის პრეზენტაციამაც უცხოელი ექსპერტების დიდი ინტერესი გამოიწვია.

წარმოდგენილი იყო GITA-ს საქართველოში ინოვაციების მოძიებისა და პოტენციალური ბიზნეს-პარტნიორებისათვის გადაცემის პროგრამა.

ლონისძიებას ესწრებოდნენ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელი საქართველოში იოვანა უკვე რამდენიმე დღეა მათ ქართველი ქალბატონი თბილისში, საკუთარ სახლში, მასპინძლობს.

უკრაინული ოჯახის ახლადშექმნილი ორი წევრი (1 თვის ტყუპები), გემშიური სამედიცინო შემომხმების მიზნით, თსუ-ის პროფესორმა, პედიატრმა ნუგზარ უბერმა მიიღო. ტყუპებს კლინიკაში ყველა საჭირო კვლევა ჩაუტარდათ.

ლონისძიებას ესწრებოდნენ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელი საქართველოში იოვანა უკვე რამდენიმე დღეა მათ ქართველი ქალბატონი თბილისში, საკუთარ სახლში, მასპინძლობს.

ლონისძიება გაიმართა „Experts.ai for Georgia“-ს პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

საქვემოქმედო აქცია უკრაინელი ბავშვებისთვის



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გვირგვინის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ექიმი სპეციალისტები უკრაინის მოქალაქეებისთვის უფასო ამბულატორიულ გასინჯვებს ატარებენ, კერძოდ: ხუთწევრიანი ოჯახი ქალაქ ხერსონიდან რუსულ აგრესიას გამოექცა და თავშესაფარი საქართველოში იპოვა. უკვე რამდენიმე დღეა მათ ქართველი ქალბატონი თბილისში, საკუთარ სახლში, მასპინძლობს.

მკვნიერება S სეკონცენა

„Mikro ART Vision“ და მიკრობებით შექმნილი ნახატი



ლონისძიების ფარგლებში, უნივერსიტეტში მოწვეულმა ახალგაზრდა მხატვარმა, საკუთარი შემოქმედების პრეზენტაცია შესთავაზა ხატვის ამ ორიგინალური მეთოდით დაინტერესებულ სტუდენტებს, რომლებსაც წარმოადგენილი ვიდეოკოლაჟით შე-

ვეცანი მათი გათვსვის მეთოდებს, ვიფიქრე, რომ საინტერესო იქნებოდა მიკრობებით ხატვა, რაც, მართლაც, პირველივე ცდაზე გამოვიდა...

ნალური მეთოდია, ალბათ მომავალშიც გააგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით...

XXI საუკუნეში, ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ, ვითარდება ხელოვნების სხვადასხვა დარგი, ჩნდება ინოვაციური მიმართულებები, რომლებიც ახალ, საინტერესო სახეებს წარმოაჩენს პოეზიაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, ფერწერაში... ასეთი საინტერესო ახალგაზრდა ხელოვანი გახლავთ ანა ციციშვილი, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც მიკრობებით ულამაზეს ნამუშევრებს ქმნის. ამ სილამაზის თანაზიარნი ახლახან თსუ-ის სტუდენტებიც გახდნენ — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფ „სტუდენტების ხმის“ ინიციატივით, ბიბლიოთეკის მწვანე დარბაზში, გაიმართა ინტერგრირებული ხასიათის ღონისძიება — პრაქტიკუმი „Mikro ART Vision“.

სადღებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ანას მიერ შექმნილ ნახატებს, ნახეს, ასევე, მის მიერ გაცოცხლებული ფერწერული შედეგების ერთგვარი „მიკრობული რენეკარნაცია“ — ლონარდო და ვინჩის „მონა ლიზა“, ვან გოგის „მზესუმზირები“ და ა. შ.

განვითარებული ხატვის ეს მიმართულება, უცხოეთში პოპულარულია და Microbial Art ჰქვია; გამოფენა მქონდა აგრარულ უნივერსიტეტში, აგრეთვე, TEDx-ის ღონისძიებაზე, რომელიც საქართველოს ბანკის ორგანიზებით მომზადდა. 2017 წელს ნამუშევრები გავგზავნე ამერიკის მიკრობიოლოგთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონკურსში — Agar Art, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და მასში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 200-ზე მეტი კონკურსანტი მონაწილეობს. აღნიშნულ კონკურსში ნახატმა — „მოცეკვავე მიკრობები“ — მე-3 ადგილი დაიმსახურა, ხოლო 2018 წელს გავზავნილი ნამუშევარი — „ზამთრის და გაზაფხულის ბრძოლა“ — კონკურსის გამარჯვებული გახდა.

— ცხადია, მიკრობებით ხატვის კუთხით მაქვს სხვადასხვა პროექტი, რასაც პერიოდულად ვახორციელებ, თუმცა, გარდა ამისა, ფერწერაა და გრაფიკაშიც ვმუშაობ და ვსწავლობ ციფრულ ფერწერასაც...


— როგორია თქვენი შთაბეჭდილება ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტების და თსუ-ის სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ? — მოხარული ვარ, რომ ასეთ საინტერესო აუდიტორიასთან მომიხდა შეხვედრა — მომავალ ექიმებთან მიკროორგანიზმებით ხატვის სპეციფიკურობაზე საუბარი გაცილებით მარტივი და სასიამოვნო იყო. წარმატებები მინდა ვუსურვო მათ...

ჩვენ გავსაუბრეთ ანა ციციშვილს, რომელმაც სიამოვნებით გვიამბო თავის გატაცებაზე, მიკრობებით ხატვის პროცესსა და იმ წარმატებაზე, რაც ამ მიმართულებით მუშაობამ მოუტანა. როგორც ანამ გვითხრა, იგი ბავშობიდანვე ხატავს; მის შემოქმედებაში შეხვედრით ზეითი, ტუშით, ფანქრით შესრულებული ნამუშევრებს. მიკრობებით ხატვით კი სტუდენტობის პირველივე წელს დაინტერესდა: „როცა ვნახე ძალიან ლამაზი მიკრობების კოლონია, გავცანი მათი გათვსვის მეთოდებს, ვიფიქრე, რომ საინტერესო იქნებოდა მიკრობებით ხატვა, რაც, მართლაც, პირველივე ცდაზე გამოვიდა...“

— საინტერესოა, ცოცხალი მიკროორგანიზმებით შექმნილი ნახატები რამდენ ხანს ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას? — სამწუხაროდ, ეს სირთულე ახლავს მიკრობებით ხატვას, რადგან ნახატი ლაბორატორიულ პირობებში უნდა ინახებოდეს. გათვალისწინებული უნდა იყოს ტემპერატურა, როცა საკვები არე შერება, ნახატიც კვდება, შესაბამისად, სიცოცხლისუნარიანობის მაქსიმალური ვადა 4 თვეა.

სტუდენტებმა მართლაც დიდი ინტერესი გამოავლინეს და, პრეზენტაციის შემდეგ, სტუმრის დახმარებით, თავდაც სცადეს მიკრობებით ხატვა; ინტეგრირებული ღონისძიების ფარგლებში, სტუდენტებს, ასევე, საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ მიკროსკოპთან მუშაობის სპეციფიკას და ემუშავათ პისტოლოგიურ, პათანატომიურ, მიკრობიოლოგიურ და მცენარეულ პრეპარატებზე.

პროფესორი ბაადურ მოსიძე



გარდაიცვალა პროფესორი ბაადურ მოსიძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა პირველი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ქირურგთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის მფლობელი, ღირსების მედლის კავალერი, გრიგოლ მუხაძის სახელობის მედლის, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელობის მედლის, უკრაინის სახელმწიფო ორდენის — „შრომითი მიღწევებისათვის“ — მფლობელი.

ბაადურ მოსიძემ წარმატებული პროფესიული ბიოგრაფია 1971 წელს დაიწყო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) დამთავრებისთანავე, თავდაპირველად მოღვაწეობდა მშობლიურ ქალაქ სოხუმში, რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში (1971-1975 წ.წ.); თბილისის ონკოლოგიურ დისპანსერში (1975 წ.); შემდეგ სწავლა განაგრძო კლინიკურ ორდინატურაში ლენინგრადის ნ. პეტროვის სახელობის ონკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის კუჭ-ნაწლავის სიმსივნეების კლინიკაში და იქვე საქმიანობდა 1988 წლამდე. 1995 წელს ბაადურ მოსიძემ სპეციალიზაცია გაიარა მინიწვანოზურ ქირურგიაში American College of Surgeon-ში (აშშ); იგი American Cancer Society-ის და UICC-ის სერტიფიკატს ფლობდა კოლორექტულ ქირურგიაში. შემდეგ, საქართველოში დაბრუნებული, სიცოცხლის ბოლო დღემდე, საქიმო და აკადემიურ მოღვაწეობას საქართველოს კლინიკებსა და უმაღლეს სამედი-

ცინო სკოლებში ეწეოდა: ხელმძღვანელობდა თბილისის ონკოლოგიის სამედიცინო ცენტრის პროქტოლოგიის განყოფილებას (1988-1989 წ.წ.); იყო რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს კლინიკური დირექტორი (1993-1996 წ.წ.); კერისთვის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი (1996-2009 წ.წ.); ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის გამგე (1989-2000 წ.წ.); ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიის კათედრის გამგე (2000-2006 წ.წ.); ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის სამედიცინო დირექტორი და ქირურგიული სამსახურის უფროსი (2010 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე); 2009 წლიდან ბატონი ბაადურ მოსიძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორია.

ბაადურ მოსიძე თითქმის ნახევარი საუკუნე, ფაქტობრივად, სიცოცხლის ბოლომდე, პირნათლად ემსახურა ქირურგიას. მისი საქიმო და კვლევითი ინტერესის ძირითად თემებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის, ფუნქციური რეკონსტრუქციით ქირურგიული რეაბილიტაციის, ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის ურთულესი საკითხები შეადგენდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეობრივი და პროფესიული თვისებებით ბაადურ მოსიძემ მადლიერ პაციენტთა, სტუდენტთა და კოლეგათა გონებაში სამართლიანად და სამუდამოდ დაიმკვიდრა სამაგალითო ადგილი.


ბატონი ბაადური ასზე მეტი სამედიცინო ნაშრომის, 2 მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, 5 რაციონალიზატორული წინადადების, 3 გამოგონების და რამდენიმე მეთოდური რეკომენდაციის ავტორი იყო. მისი ხელმძღვანელობით დაცული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები კი ქრესტომათიულია მსხვილი ნაწლავის სხვადასხვა ტიპის პათოლოგიის მკურნალობის საკითხებით დაინტერესებული მედიკოსებისთვის. მნიშვნელოვანია ბაადურ მოსიძის მონაწილეობა საერთაშორისო მულტიცენტრულ კვლევებში, რაც მისი აკადემიური ავტორიტეტის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია. ბაადურ მოსიძის სი-

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ნიგნუბი

ხადი სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნერვულ სნეულებათა პროპედევტიკის და ტოპიკური დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ მია ბერიძის და ამავე დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ომარ სამუშიას, ავტორობით, მომზადდა გამოცემა სახელმძღვანელო - „ნევროლოგიის საფუძვლები“.



ნევროლოგიის საფუძვლები

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტებისთვის. სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია, მკითხველს გააცნოს ნევროლოგიური სტატუსის და ნევროლოგიური სინდრომების შეფასების კრიტერიუმები კლინიკურ პრაქტიკაში.

ნიგნში განხილულია ნეირონატომიის და ნეიროფიზიოლოგიის კლინიკური ასპექტები, ძირითადი ნევროლოგიური სინდრომები და ტოპიკური დიაგნოსტიკის პრინციპები.


სახელმძღვანელოს თითოეული თავს თანდართული აქვს ტესტები ტოლენის თვითშეფასებისთვის და თემატური სიტუაციური ამოცანები.

ნიგნი ეფუძნება კლასიკურ და თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო სახელმძღვანელოებს. ნიგნი ეფუძნება კლასიკურ და თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო სახელმძღვანელოებს. ნიგნი ეფუძნება კლასიკურ და თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო სახელმძღვანელოებს.



მედიცინისა და ისტორიის სიყვარული

ქართველი ექიმები, განსაკუთრებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, ყოველთვის გამოირჩეოდნენ შემოქმედებითი ნიჭით და მრავალმხრივი ინტერესებით, რისი ერთ-ერთი დადასტურება სულ ახლახან, ფრიად საინტერესო ნაშრომის გამოქვეყნება - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ეგიდით, გამოცემა სამედიცინო კრებული - „ბაღვაში“, რედაქტორები - ცენტრის დირექტორი, პროფესორი ზაზა აბაშიძე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ყარამან ფალავა.



ბაღვაში სამედიცინო კრებული BAGHWASHI Collection of Scholarly Articles

კრებული ეხება შუა საუკუნეების ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური საგვარეულოს - ბაღვაშებისა და მათი განშტოების - კახაბერიძეებისა და ორბელიანების მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტს. მასში წარმოდგენილია, როგორც ქართველი მკვლევრების (ისტორიკოსები - ჯაბა სამუშია, გოდერძი ნარიშკინი, გიორგი ნარიშკინი, თამაზ გოგოლაძე, მიხეილ ბახტაძე, ქეთევან ქუთათელაძე, ნიკა ხოფერია, ლია კიკნაძე; ხელოვნ-

ბათმცოდნე ნელი ჩაკვეტაძე, იურისტი პოლიკარპე-თემური მონიავა), ასევე, უცხოელი მეცნიერების (ავსტრიელი ვერნერ ზაიბტი, ალექსანდრა-კირიაკი ვასილიუ-ზაიბტი, ნიდერლანდელი გერტ ბოერზემა, სომეხი ჰაკოპ ჰანი) ნაშრომები. მათ შორისაა პროფესორ ყარამან ფალავას სტატიები - „ბაღვაშთა გენეალოგია“ (იოსებ ბიჭიკაშვილის თანავტორობით); „ბაღვაშთა ეკლესიები“ (იოსებ ბიჭიკაშვილის და ალინა ბალიშვილის თანავტორობით); „დამატებითი მასალები ბაღვაშთა ისტორიისთვის“, „გვარსახელ ბაღვაშის ონომასტიკა“; ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ რამაზ საყვარელიძის, სტატია - „რავი ბაღვაშის ფრესკული პორტრეტის ფსიქოლოგიური ანალიზის საკითხისთვის“ და უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლის, მედიცინის დოქტორისა და ისტორიის დოქტორის, ირაკლი ფალავას, სტატია - „ცხოვრება და წაქნარნი (კახეთ-ჰერეთის) მეფისა გაგიკისა და მისი კავშირები ლიპარიტ ბაღვაშთან და სხვა თანამედროვეებთან“. სტატიები საკმარისად ინფორმატიულია და, ამავე დროს, კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართველი მედიკოსების ფართო თვალსაზრისზე.

მედიცინის თბილისის გზა



გვანცა 1996 წლის 2 მარტს თბილისში დაიბადა; სიყვარულით სავსე ოჯახში, მშობლებთან და ძმასთან ერთად იზრდებოდა; მჭიდრო კავშირი ჰქონდა გურიასთან, სადაც ბებიების და ბაბუების ხშირი სტუმარი იყო, ზაფხულის არდადეგებს ყოველთვის იქ ატარებდა და ივსებოდა მათი სიყვარულით.

ბეჯითი გოგო იყო; 2014 წელს წარმატებით დაამთავრა სკოლა და სტომატოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, შემდეგ კი წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. სტუდენტობის პერიოდში არაერთ სტომატოლოგიურ კლინიკაში მუშაობდა ასისტენტად. 2020 წელს გახდა სტომატოლოგიის კლინიკა - „უნიდენტის“ რეზიდენტი, ექიმი-თერაპევტის სპეციალობით. 2021 წლიდან გვანცა უკვე ლიცენზირებული ექიმი სტომატოლოგია და ასქიანობდა ექიმ-თერაპევტად აგრძელებს კლინიკაში - „კოი ესთეტიკა“; პარალელურად, გაიარა ქირურგიული სტომატოლოგიის სარეზიდენტო კურსი და მოიპოვა ლიცენზია.

მის მონდომებას და პროფესიულ განვითარებას საზღვარი არ ჰქონდა, ყოველთვის სწავლობდა და ვითარდებოდა, დაგროვილ ცოდნას კი სხვებს უზიარებდა, რისთვისაც ხშირად ატარებდა ჩართვებსა და საჯარო ლექციებს

ერთმანეთი გვაძლიერებს



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მსოფლიოს 80 ქვეყნის საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს,

ყოველდღიურად მათთან მეგობრობით, ურთიერთობით და ერთობლივად ჩატარებული პროექტებით, „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ გუნდი ცდილობს შეუქმნას მათ კომფორტული გარემო — სწავლისა და აქტიური სტუდენტური ცხოვრებისთვის, რაც მათთვის დაუვიწყარი იქნება. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობები საშუალებას გვაძლევს გავაცნოთ ერთმანეთს

ჩვენ-ჩვენი ქვეყნის კულტურა, ღირებულებები, რაც დამეგობრებისა და შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის საწინდარია. 24 აპრილს, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის მონაწილენი გავხდით, დავესწარი, შრილანკელი სტუდენტების მიერ ორგანიზებულ ფესტივალს, რომელიც სინჰალა/ტამილის - ახალი წლის აღნიშვნას უკავშირდებოდა. ამაღლებულმა, ფერადოვანმა საახალწლო გარემომ, დაუვიწყარი საღამო აჩუქა სტუმრებსაც და მასპინძლებსაც.

ფანჯის ფესტივალი

13 მაისს, „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ ორგანიზებით, თსუ-ს სტუდენტებისთვის ყველაზე ფერადი და დასამახსოვრებელი ღონისძიება — Color Fest Cataract გაიმართა. წარმოდგენილი იყო ბენდის პერფორმანსი, ღია კვების ობიექტები, დიჯეი და სხვა მრავალი გასართობი და ინტერაქტიული აქტივობა. ღონისძიებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მას 500-მდე

სტუდენტი დაესწრო. უამრავი პოზიტივითა და ემოციით დატვირთული დღე საინტერესოდ წარიმართა, რომელიც მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტების აქტიურობით ჩატარდა. სამომავლოდაც, არაერთი საინტერესო და ფერადი გასართობი ღონისძიება იქნება სტუდენტური ცხოვრების თანმხლები.



იქნება სტუდენტური ცხოვრების თანმხლები.

მნიშვნელოვანი გაეჩვენა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა შორის, უდავოდ, ლიდერის პოზიცია უჭირავს — უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სპორტის ცენტრის ხელმძღვანელობა (დირექტორი, ზაურ ფხალაძე, მოადგილე, გივი შუბითიძე, ფეხბურთის ნაკრები გუნდის მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ვახტანგ ბაქანიძე) და სტუდენტობის წარმომადგენლობა (ლალო გაბეჩავას და მარიამ მერაბიშვილის ხელმძღვანელობით), ყოველანაირად ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ცხოვრობდეს ჯანსაღი ცხოვრების წესით, დაკავებული იყოს სპორტით; ამის საუკეთესო დასტურია სულ ახლახან ჩატარებული ტურნირი მინიფეხბურთში, რომელზეც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო და საკავშირო კატეგორიის მსაჯე, დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ავთანდილ კოკია. თსუ-ის მინიფეხბურთის ჩემპიონთა ტურნირში მონაწილეობდა ცხრამეტი გუნდი. დიდი ორთაბრძოლების შემდეგ, მესამე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში, გუნდებს - „ვესტას“ და „ზესტაფონს“ შორის, გამარჯვება „ვესტას“ ხვდა. საფინალო შეხვედრა კი, მართლაც, გამორჩეული იყო - გუნდების - „პირველი მერცხალის“ და „ელიტას“ შემადგენლობის უმრავლესობა თსუ-ის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის — „ფუტსალის“ წევრებს წარმოადგენდნენ. დაძაბული თამაშის შემდეგ, „პირველი მერცხალი“ კვლავ ჩემპიონი გახდა და ზედიზედ მესამედ იზეიმა ჩემპიონობა. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტთა საფეხბურთო ფინალი 13



პიონთა ტურნირში მონაწილეობდა ცხრამეტი გუნდი. დიდი ორთაბრძოლების შემდეგ, მესამე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში, გუნდებს - „ვესტას“ და „ზესტაფონს“ შორის, გამარჯვება „ვესტას“ ხვდა. საფინალო შეხვედრა კი, მართლაც, გამორჩეული იყო - გუნდების - „პირველი მერცხალის“ და „ელიტას“ შემადგენლობის უმრავლესობა თსუ-ის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის — „ფუტსალის“ წევრებს წარმოადგენდნენ. დაძაბული თამაშის შემდეგ, „პირველი მერცხალი“ კვლავ ჩემპიონი გახდა და ზედიზედ მესამედ იზეიმა ჩემპიონობა. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტთა საფეხბურთო ფინალი 13

მაისს შედგა, სწორედ ამ დღეს, 41 წლის წინათ, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, თბილისის „დინამოელებმა“ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს „კარლ ცაისის“ გუნდთან და ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგეს; სწორედ, ქართული სპორტის ამ უდიდეს წარმატებაზე ახალგაზრდობას ესაუბრა თსუ-ის სამედიცინო ბიოლოგიის და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბატონი დავით ცხომელიძე, რომელმაც აღვითვანება გამოხატა სტუდენტთა აქტიურობით და მათ სამომავლო წარმატებები უსურვა. დასასრულს, დასახელდნენ საუკეთესო სპორტსმენები სხვადასხვა ნომინაციაში, რომელთა შორისაა: დ. უბილავა, თ. ფუტკარაძე, ლ. გობჯიჯიშვილი, მ. ჯაფიაშვილი, დ. სულხანიშვილი, გ. ლობჯანიძე, გ. ბარათაშვილი, გ. კაციტაძე, ადიტია სურეში (ინდოეთი), მ. საძაგლიშვილი, თ. შარიტაძე, ს. სამხარაძე, ლ. მალაკელიძე, გ. ხიდაშელი, ბ. გვენეტაძე, ლ. თვარაძე, რ. ლეჟავა, ლ. კარტოზია, გ. მერჯიაკოვი, ა. ქურასბედიანი, ნ. გაგომიძე.

უაჩიბრი კარტინგში

სპორტული ცხოვრება კვლავ დატვირთული და სახალისოა საინტერესო აქტივობებით. „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ გუნდის ინიციატივით, ჩატარდა შეჯიბრი კარტინგში, რომელსაც სტუდენტების დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დაანონსებიდან მცირე ხანში თსუ-ის 400-მდე სტუდენტმა გამოხატა მონაწილეობის სურვილი. თუმცა, შეზღუდული ადგილებიდან გამომდინარე, მხოლოდ პირველმა დარეგისტრირებულმა - 100-მა სტუდენტმა შეძლო რბოლაში მონაწილეობა.



შეჯიბრი დაძაბულად, ხალისიანად ჩატარდა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით თითოეულ მონაწილეს. გამოვლინდნენ ტურნირის გამარჯვებულები: I ადგილი — თემო ფეტვიამ-ვილი -33.135;

II ადგილი — ირაკლი კურტანიძე -33.739; III ადგილი — თემო ალუღიშვილი -33.769. სასიამოვნო გარემომ შესაძლებლობა მოგვცა ჩაგვეტარებინა სპორტული აქტივობები: მინი გოლფში, მაგიდის ჩოგბურთში, რაც განტვირთვის და აქტიური დასვენების საუკეთესო საშუალება გამოდგა როგორც მონაწილეების, ისე დამსწრე საზოგადოებისთვის, სასიამოვნო დღის გალამაზებისა და მასპინძლობისთვის მადლობას ვუხდით „ლისი ლემანს“.

Food Med Fest – 2022

5 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ ორგანიზებით, ჩატარდა Food Med Fest-2022. გაიმართა ფაკულტეტთაშორისი შეჯიბრი. თითოეული ფაკულტეტის გუნდი შედგებოდა 6 სტუდენტისგან, რომლებსაც გუნდური და ინდივიდუალური დავალებების შესრულება ევალებოდათ. საბოლოოდ, შეჯიბრი თსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების გამარჯვებით დასრულდა (გუნდის წევრები: ანდრია შველიძე, გიორგი მელაშვილი, დიტო ნატრიაშვილი, ბექა კობალეიშვილი, ლიზი ნიჟარაძე, კესო ხელაშვილი). გუნდის თითოეულ წევრს გადაეცა Nick's Smash Burger-ის ვაუჩერი. შეჯიბრში აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტებიც. კომპანია Nick Smash Burger-მა გამარჯვებულები დააჯილდოვა.

ტეტის სტუდენტების გამარჯვებით დასრულდა (გუნდის წევრები: ანდრია შველიძე, გიორგი მელაშვილი, დიტო ნატრიაშვილი, ბექა კობალეიშვილი, ლიზი ნიჟარაძე, კესო ხელაშვილი). გუნდის თითოეულ წევრს გადაეცა Nick's Smash Burger-ის ვაუჩერი. შეჯიბრში აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტებიც. კომპანია Nick Smash Burger-მა გამარჯვებულები დააჯილდოვა.

ფესტივალი „Eid Milan 22“



6 მაისს, თსუ-ის საერთაშორისო სტუდენტებმა Eid Milan 22 აღნიშნეს, ფესტივალი „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ იყო ორგანიზებული. ეროვნული სამოსით შემოსილთ, უამრავი სახალისო

აქტივობა და უგემრიელესი ეროვნული კერძები ჰქონდათ წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ფესტივალში აქტიურად მონაწილეობდა „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ გუნდიც.

„City game“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ სპორტის და განათლების დეპარტამენტების ორგანიზებით, ჩატარდა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საზრიანი თამაში „City game“. ორი სტუდენტისგან დაკომპლექტებული

გუნდები უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტულ მინიშნებებს დაეძებდნენ, რამაც სახალისო ელფერი შესძინა თამაშს. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულები: კონსტანტინე ჯინჭარაძე, საბა გურგენიძე, Akshay Kuma და Nida aqil.

კინოკლუბი „მედისინეა“ — ახალი ფილმებით



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების ცხოვრება სასწავლო სემესტრის დაწყების დღიდან დატვირთულია სახალისო და შემეცნებითი ღონისძიებებით. კინოსამყარო საშუალებას გვაძლევს რეალობიდან გადაინაცვლო კინოს სამყაროში, სადაც ყველაფერია შესაძლებელი. კინომოყვარული სტუდენტების მიერ დაარსებული კინოკლუბი „მედისინეა“ ბოლო 1 თვის განმავლობაში აქტიურად ფუნქციონებდა და შაბათს სტუდენტებს ცნობილი კომიქსების „მარველის“ სამყაროში ამოგზაურებდა. კინოჩვენებათა

კასკადმა სტარტი 5 აპრილს აიღო. ფილმების ჩვენება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიმდინარეობდა და სტუდენტების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. 5 აპრილს, შედგა ჩვენება „კაპიტანი ამერიკის“, 7 აპრილს - „კაპიტანი მარველის“, 12 აპრილს - „რკინის კაცის“, ხოლო 14 აპრილს - „რკინის კაცი 2-ის“, 16 აპრილს „მედიკინემა“-ს ეკრანები „თორმა“ დაიკავა, 19 აპრილს, სუპერგმირების საერთო ფილმის, „შურისმაძიებლების“ ჩვენება მოხდა, 21 აპრილს - „რკინის კაცი 3-ის“, 26 აპრილს - „თორი და ბნელი სამყაროს“, 28 აპრილს - „კაპიტანი ამერიკა, ზამთრის ჯარისკაცის“, ხოლო 30 აპრილს, სტუდენტების წინაშე „გალაქტიკის მცველები“ წარსდგნენ, ფილმის მეორე ნაწილის ჩვენება 3 მაისს მოხდა. კინოკლუბი „მედისინეა“ მომავალშიც საინტერესო აქტივობებს გპირდებათ.

გვირდი მოამზადა მედიცინის ფაკულტეტის მე-6 სემესტრის სტუდენტმა, აკატარინა შუბითიძემ

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64

რედაქტორი ლელა მუკბანანი

კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97

ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu